ა(ა)იპ „ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“

საინჟინრო მომსახურებების (CPV – 7130000) შესყიდვის კონკურსი

კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, გლდანის პირველი მ/რ, 39-ე სკოლის მოპირდაპირე მხარეს განსათავსებელი საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების (ექსტერიერი, ინტერიერი, გარე პერიმეტრი) სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვა.

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

თბილისი 2014 წელი

საკონკურსო განცხადება

1. ა(ა)იპ „ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო (მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #30) აცხადებს კონკურსს ქ. თბილისში, მიტინგის ქუჩაზე, ყოფილი 79-ე ბაღის ტერიტორიაზე განსათავსებელი საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების (ექსტერიერი, ინტერიერი, გარე პერიმეტრი) სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაიტერესებულ პირს (როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირი).
2. შესყიდვის ობიექტი:
   - **ლოტი I -სავარაუდო ღეირბულება 49000,00 ლარი**
   - ქ. თბილისში, გლდანის პირველი მ/რ, 39-ე სკოლის მოპირდაპირე მხარეს განსათავსებელი საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების (ექსტერიერის, ინტერიერის, გარე პერიმეტრის დიზაინი) სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.
3. შესყიდვის ობიექტის ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს (შენობის ექსტერიერის, ინტერიერის, გარე პერიმეტრის დიზაინი, სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, საავტორო უფლებების გადმოცემა და პროექტის ექსპერტიზა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში)
4. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (პირველ ეტაპზე მხოლოდ დიზაინის პროექტი ერთ დალუქულ კონვერტში ბეჭდური ვარიანტი და ელექტრონული ვარიანტი PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 8 მბ-ს) და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 28 მარტის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი #30 ა(ა)იპ „ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“
5. კონკურსი ჩატარდება 2013 წლის 28 მარტის 16 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი #30 ა(ა)იპ „ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“
6. კონკურსანტს უფლება აქვს ნებისმეირ ლოტზე წარმოადგინოს დიზაინის ერთი ან რამოდენიმე ვარიანტი.

საკონკურსო პირობები

1. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს კანონის 19[1] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.procurement.gov.ge).
   საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
   - გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი.
   - შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საინდენტიფიკაციო კოდი.
   - კონკურსანტის დასახელება და საინდენტიფიკაციო კოდი.
   - საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური კოდი

   პირის მიერ აღნიშნული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
2. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება.
3. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.
4. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია უნდა იქნას შედგენილი ქართულ ენაზე. უცხოურ ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტს უნდა დაერთოს ნოტარიალურად დამოწმებული ქართული თარგმანი. დავის შემთხვევაში უცხოენოვან და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიწების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.
5. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია უნდა იყოს ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება)
6. გამარჯვებულ კონკურსანტთან ანგარიშსწორება იწარმოებს ხელშეკრულების გაფორმების, სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის, ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ექსპერტიზის გავლის (შენიშვნების შემთხვევაში მათი გამოსწორებით) და დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შესაძლებელია ავანსის გადახდა არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 25 %-სა, საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, რომლის მოქმედების ვადაც ერთი თვით უნდა აღემატებოდეს მომსახურების გაწევის საბოლოო ვადას.
7. კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს:
   - ტექნიკური დავალების შესაბამისად შედგენილ დიზაინის (სიტუაციურ გეგმებს, ბაღის შენობების გარე და შიდა იერსახეს (ვიზუალური იერსახე რენდერების მიხედვით) გარე პერიმეტრის კეთილმოწყობის არქიტექტურულ გადაწყვეტას, სივრცით დაგეგმარებას, პლანიმეტრიას, იზომეტრიას). გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ხლშეკრულების გაფორმების შემდეგ 30 დღის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა (დეტალური არქიტექტურული პროექტი), რომელიც უნდა შეიცავდეს:
     1. ტოპოგეოდეზიური სამუშაოების ჩატარება, საინჟინრო ქსელების არსებული მდგომარეობის დაფიქსირებით.

2. საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.
3. ვერტიკალური დაგეგმარება და გარე პერიმეტრის კეთილმოწყობის პროექტი.
4. არქიტექტურული პროექტი.
5. კონსტრუქსიული პროექტი.
6. სპეციალური სამუშაოების პროექტი.
    1. გათბობა, ცხელი და ცივი წყალი, კანალიზაცია, სანიაღვრე სისტემა ვენტილაცია-კონდიცირება.
    2. სანტექნიკა, ელექტრობა (მათ შორის გარე განათება)
7. სუსტი დენების პროექტი
8. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი.
9. მშენებლობის კალენდარული გრაფიკი.
10. ხარჯთაღიცხვა.
11. სივრცითი დაგეგმარება.
12. კონკურსანტებმა სრული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ელექტრონული ვერსიისა (DWG da PDF) ხარჯთაღრიცხვა (EXCEL) და ნაბეჭდი სახით (3 ეგზემპლარი) ერთი ელექტრონული ვერსიის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 8 მბ.)

- პროექტის შედგენის ღირებულება, რომელიც უნდა მოიცავდეს საკონკურსო განცხადების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გასაწავი მომსახურების სრულ ფასს.
- კონკურსანტის სრულ რეკვიზიტებს.

8. საკონკურსო წინადადებების შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:
    - დიზანის (ექსტერიერი, ინტერიერი, გარე პერიმეტრი) ვიზუალური მხარე კოეფიციენტი - 0,6.
    - პროექტის მომზადების სრული ღირებულება. კოეფიციენტი - 0,4.
9. საკონკურსო წინადადება შეფასდება საკონკურსო პირობებში ჩამოყალიბებული კრიტერიუმებისა და კრიტერიუმების პრიორიტეტულობის კოეფიციენტის მიხედვით. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.
10. კონკურსთან დაკავშირებით განმარტების მიღება კონკურსანტს შეუძლია საკონკურსო კომისიის აპარატში. ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი #30, საკონტაქტო პირი ლევან ბაქრაძე +995 577 115454.
11. გამარჯვებული ესკიზის(დიზაინის პროექტი) გარდა, კონკურსანტებს დაუბრუნდებათ კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 10 დღეში. შემსყიდველი სამომავლოდ იტოვებს უფლებას შეიძინოს ნებისმიერი პროექტი.

ტექნიკური დავალება

ლოტი #1

- საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა უნდა განთავსდეს:

გლდანის პირველი მ/რ, 39-ე სკოლის მოპირდაპირე მხარე

აღნიშნულ მისამართზე შენობის კონსტრუქციები (დიზაინი-ექსტერიერი) უნდა იყოს ჰარმონიაში ადგილობრივ ლანდშაბტთან (საჭიროების შემთხვევაში გამწვანებითი ღონისძიებების გატარება).

პროექტის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნას:

- ბაგა-ბაღის ეზო კარგად სტრუქტურირებული და სრულად ათვისებული უნდა იყოს. მნიშვნელოვანია, რომ ეზოს მთლიან ტერიტორიას იყენებდნენ ბავშვები. ეზოს დაყოფის პროცესში შესაძლებელია, გამოიყოს შემდეგი ზონები: ეზოში შემოსასვლელი ტერიტორია, საქანელებსა და სასრიალოებზე სათამაშო ადგილები, ადგილი სპორტული აქტივობების/შეჯიბრებებისათვის, ქვიშაში სათამაშო ადგილი, მცენარეების ბაღი; ბაგა-ბაღის ეზოს დაგეგმვისას დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების მოთხოვნები. ეზოს საფარი უნდა იყოს უსაფრთხო და ემსახურებოდეს ბავშვის სხვადასხვა უნარების განვითარებას. ბაგა-ბაღის ეზოში არ უნდა შედიოდნენ პირდაპირ საავტომობილო მაგისტრალიდან. მთავარი შესასვლელი სატრანსპორტო გზიდან ხელოვნური ბარიერით უნდა იყოს მოშორებული ან გამოყოფილი. ეზოში გათვალისწინებული უნდა იყოს სახანძრო მანქანის შემოსასვლელი.
- შენობა უნდა იყოს საქართველოში არსებული უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში (გათვალისწინებული უნდა იქნეს განიერი კიბეები, უსაფრთხოების გასასვლელები და ა. შ.);
- შენობის იატაკი, კედლები, კიბეები და პანდუსები ბავშვებისათვის საფრთხეს არ უნდა წარმოადგენდეს.
- ბავშვების თავშეყრის ადგილებში სასურველია, მოცურებისაგან დამცავი ზედაპირი იყოს დაგებული, რომელიც უსაფრთხოებას სველ მდგომარეობაშიც შეინარჩუნებს. იატაკზე ფეხის წამოსაკრავი არც ერთი ელემენტი არ უნდა არსებობდეს. კიდეები და პანდუსები არ უნდა იყოს სახიფათო გადაადგილებისთვის. საფეხურებს რომლებიც პრიალა მასალისაგან არის დამზადებული, არ უნდა ჰქონდეს ბასრი კიდეები და მოცურებისგან დამცავი სარტყელები უნდა ჰქონდეს გარშემო. კიბეებს ორივე მხრიდან უწყვეტი მოაჯირი უნდა მიჰყვებოდეს. თავშეყრის ადგილებში კედლებს, 2 მეტრის სიმაღლეზე, არ უნდა ჰქონდეს ბასრი კიდეები, წვეტიანი გამოშვერილი ნაწილები და სახიფათო დეტალები.
- ელექტრო გაყავანილობის სადენები ბავშვებისათვის ხელმიუწვდომელი უნდა იყოს. ბავშვი ვერ უნდა წვდებოდეს ჩამრთველებს. გარდა ამისა, ჩამრთველები აუცილებლად უნდა იყოს დაცული.
- სასურველია, რომ სამზარეულოს ოთახი იყოს ნათელი და ადვილად განიავდეს. კედლები უნდა იყოს ღია ფერის და ისეთი მასალით (მაგ.კაფელის ფილებით ან ნესტგამძლე სპეციალური საღებავით) მოპირკეთებული, რომ იოლად გაირეცხოს. იატაკი ისეთი მასალით უნდა დაიფაროს, რომელიც გლუვიც იქნება და იოლადაც მოიწმინდება. ქურას განთავსებული უნდა იყოს სამზარეულოს შუაში. ქურის თავზე უნდა განთავსდეს სავენტილაციო გამწოვი. სამზარეულოში უნდა მოდიოდეს როგორც ცივი ასევე ცხელი წყალი.
- ყველა იმ ოთახის კარი, სადაც ბევრი ბავშვი იყრის თავს, იმ მიმართულებით უნდა იღებოდეს, საითაც ევაკუაციის შემთხვევაში აღსაზრდელებს გაიყვანენ. საევაკუაციო გზაზე დაუშვებელია მბრუნავი ან იმგვარი კარების განთავსება, რომელიც ორივე მიმართულებით იღება. შენობას სხვადასხვა წერტილში საევაკუაციო გასასვლელი უნდა ჰქონდეს ისინი ისეთ ადგილებში უნდა იყოს, რომ აღსაზრდელებმა იოლად და სწრაფად მიაგნონ. ოთახს სადაც ხანძრის რისკი დიდია (მაგ. სამზარეულო) მინიმუმ ორი გასასვლელი უნდა ჰქონდეს. კარი გარე მიმართულებით უნდა იღებოდეს და მათი შიგნიდან გაღება ნებისმიერ დროს იყოს შესაძლებელი.

- შენობის დაგეგმარებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საჭიროებები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის ბაგა-ბაღის ფიზიკური

გარემოს მისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის, მნიშვნელოვანია, რომ კარის ზომები და პანდუსები გათვალისწინებული იყოს, რათა ეტლის მომხმარებელ ბავშვს ან მშობელს ბაგა-ბაღის შენობაში დამოუკიდებლად შესვლა და გადაადგილება შეძლოს. შენობის არც ერთ საჭირო სათავსოსთან არ უნდა იყოს ისეთი საფეხურები, რომლებიც ეტლის გადაადგილებას შეუშლის ხელს . დონეების სხვაობა ძირითადად პანდუსების საშუალებით უნდა რეგულირდებოდეს და არა საფეხურებით.

- კლიმატი ვენტილაცია (მნიშვნელოვანია ბაგა-ბაღში ტემპერატურის კონტროლი, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში. ბავშვების ჯგუფების ოთახებში, დერეფნებში, სასადილოში და სხვა ოთახებში უნდა იყოს თანაბარი ტემპერატურა, მინიმუმ 18 და მაქსიმუმ 24 გრადუსი. იმ ოთახებში, სადაც ბავშვებს უწევთ ვარჯიში, ცეკვა და სხვა ფიზიკური აქტივობები, შესაძლებელია , მინიმალური ტემპერატურა 15 გრადუსი იყოს, ბავშვების საძინებელ ოთახებში კი-16-18 გრადუსი.)

- ბაგა-ბაღის ოთახები სასურველია, რომ მზიანი იყოს და ბუნებრივი განათება ჰქონდეს.

- საპირფარეშოში უნიტაზები ისეთი ზომის უნდა იყოს, რომ ბავშვს მისი დამოუკიდებლად მოხმარება შეეძლოს, უნიტაზზე ჯდომისას ბავშვის ფეხები იატაკს უნდა სწვდებოდეს. ხელსაბანი ისეთი სიმაღლე უნდა იყოს რომ აღსაზრდელს დამოუკიდებლად შეეძლოს ხელების დაბანა.

ბაგა-ბაღის სივრცითი მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს:

1. ჰოლი
2. მუსიკალური დარბაზი
3. სამედიცინო ბლოკი
4. ბაგა-ბაღში ბავშვებისათვის განკუთვნილი ჯგუფები (ბაგა 2-3 წლიანი, რაოდენობა - 2)
   - შემოსასვლელი ზონა - სადაც ბავშვი იცვლის ფეხზე და იხდის ქურთუკს;
   - ჯგუფის ოთახი - სადაც ბავშვები თამაშობენ, სწავლობენ, მიირთმევენ საჭმელს და ატარებენ დროის უმეტეს ნაწილს;
   - საძინებელი ოთახი ;
   - საპირფარეშო, ხელსაბანი
   - ჭუჭლის სარეცხი ოთახი

5. ბაგა-ბაღში ბავშვებისათვის განკუთვნილი ჯგუფები (ბაღი 3-6 წლიანი, რაოდენობა - 10):
   - შემოსასვლელი ზონა - სადაც ბავშვი იცვლის ფეხზე და იხდის ქურთუკს;
   - ჯგუფის ოთახი - სადაც ბავშვები თამაშობენ, სწავლობენ, მიირთმევენ საჭმელს და ატარებენ დროის უმეტეს ნაწილს;
   - საპირფარეშო, ხელსაბანი;
   - ჭუჭლის სარეცხი ოთახი;

6. ცალკე მდგომი შენობა:
   - სამზარეულო ;
   - პროდუქტების საწყობი ;
   - ბოსტნეულის საწყობი ;
   - საკანცელარიო და სამეურნეო ნივთების საწყობი;
   - დირექტორისა და სხვა სპეციალისტების კაბინეტი;
   - ჩამოწერილი ინვენტარის საწყობი;

- საპირფარეშო, მომსახურე პერსონალისთვის;
- სამრეცხაო ბლოკი;